ხელშეკრულება №263

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი
წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის მოთხოვნების საფუძველზე, მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო - ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (ს/კ 204390159, იურიდიული მის: ქ.თბილისი, შავთელის ქ.26), წარმოდგენილი - მისი დირექტორის ნათელა წიკლაურის სახით, (შემდგომში ”შემსყიდველი”),
და მეორეს მხრივ,
შპს “ტიტანი” (ს/კ 204393217, ფაქტიური მის: ქ. თბილისი, ათონელის, 29) წარმოდგენილი - მისი დირექტორის თ.ჩოჩიშვილი სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ტერმინთა განმარტებები

2.1 “შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
2.2 “მიმწოდებელი” - პირი, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
2.3 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ “ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით, რომელზეს ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2.4 “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
2.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს დანართი #1-ით გათვალისწინებული საქონელი (შემდგომში ”საქონელი”), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
3.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV 31224000

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს.
4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი, კერძოდ: დავით ხოსიტაშვილი.

5.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადების, ხარისხისა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

5.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

6.2 შესყიდვის მიწოდების ადგილია: მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

9.3 მიმწოდებელი უფლემოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

10. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

10.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყრნრბით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0.1% -ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

15.2 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

15.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

15.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16.3 „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ხელშეკრულებაზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება ძალაშია ეროვე მხარის მიერ ელექტრონულად შესრულებული ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2 (ორი) თვის განმავლობაში.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

”შემსყიდველი”
სსიპ „თბილისის მარიონეტების
პროფესიული სახელმწიფო თეატრი“
მის: ქ. თბილისი, შავთელის ქ. 26
ტელ: 2986589
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის № 708207499
საიდენტიფიკაციო კოდი: 204390159

Tbilisi State Professional Marionette Theatre
Digitally signed by Tbilisi State Professional Marionette Theatre
Date: 2019.12.18 14:48:37 +04'00'

ნათელა წიკლაური
დირექტორი

”მიმწოდებელი”
შპს “ტიტანი”
მის: ქ. თბილისი, ათონელის, 29
ტელ:
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №: GE588 BG00 0000 0523 0855 00
საიდენტიფიკაციო კოდი: 204393218

თ.ჩოჩიშვილი
დირექტორი

დანართი №1

№	CPV	დასახელება	ზომის	რაოდენობა	ერთეულის	საერთო
1	31224000	გიტარის სადენი	მეტრი	10	3,50	35,00
2	31224000	შემაერთებელი შტეკერი	ცალი	2	11,50	23,00
3	31224000	შმაერთებელი შტეკერი	ცალი	2	11,00	22,00
		სულ				80,00

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი